საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
ფრაქცია „ქართული ოცნება-მაჟორიტარები“

ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
ტელ : 28 54 64

22.08/26
„30“ 12 2016წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატის
საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს ბატონ
გიორგი ბერიძეს

ბატონო გიორგი,

უმაღლესი საბჭოს ბიუროს უახლოესი სხდომისათვის წარსადგენად და საკანონმდებლო პროცედურების დასაწყებად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

წარდგენილ საკანონმდებლო ინიციატივაზე უმაღლეს საბჭოში განხილვებისას მომხსენებლად დაინიშნოს ფრაქციის თავმჯდომარე ილია ვერძაძე
გთხოვთ, დადგენილების პროექტს მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

დანართი: 4 ფურცელი

პატივისცემით,
ფრაქციის თავმჯდომარე ილია ვერძაძე

09-01-08/08
30-12-2016
5 ფურცელი

0902117/3635
1 4
30 12 6

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის
განხილვის პროცედურის დაწყების
შესახებ

ოქმი 2

17 იანვარი 2017 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ"

დასახელება

ფრაქცია
"ქართული ოცნება – მაჟორიტარები"

ავტორი

ფრაქცია
"ქართული ოცნება – მაჟორიტარები"

ინიციატორი

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია

წამყვანი კომისია

30.12.2016 წელი

შემოსვლის თარიღი

წამყვ. კომისია: 23,01,2017 წელი
სხვა კომისიები: 20.01.2017 წელი

საკომისიო მოსმენის ვადა

რიგგარეშე სესია

სხდომაზე განხილვის
სავარაუდო თარიღი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია

კომისია რომლის დასკვნა სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:

უმაღლესი საბჭოს კომისიებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დავით გაბაიძე

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 27-ე მუხლისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებს (შემდგომში - უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრი) ამომრჩევლებთან ურთიერთობის ორგანიზების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში მონაწილეობისა და საკითხების გადაწყვეტის მიზნით უფლება აქვთ ჰყავდეთ თავიანთი წარმომადგენლები. უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრების წარმომადგენლებს, საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკური და შრომის ანაზღაურების უზრუნველყოფისათვის უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტიდან ყოველთვიურად გამოეყოფათ ამ დადგენილებით განსაზღვრული თანხა.

2. უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილ №68, №69, №70, №71 და №72 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში არჩეული უმაღლესი საბჭოს შესაბამისი მაჟორიტარი წევრის წარდგინების საფუძველზე თითოეულ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ინიშნება არაუმეტეს 2 წარმომადგენელი.

3. უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილ №73 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეული უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის წარდგინების საფუძველზე ინიშნება არაუმეტეს 3 წარმომადგენელი.

4. უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრების წარმომადგენლების დანიშვნას, არაუმეტეს უმაღლესი საბჭოს შესაბამისი მაჟორიტარი წევრის უფლებამოსილების ვადით, უზრუნველყოფს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ამ დადგენილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში არჩეული უმაღლესი საბჭოს თითოეული მაჟორიტარი წევრის წარმომადგენელს (წარმომადგენლებს) საქმიანობის მატერიალური-ტექნიკური და

შრომის ანაზღაურების უზრუნველყოფისათვის უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტიდან ყოველთვიურად გამოეყოფა (გამოეყოფათ) 1200 ლარი.

6. ამ დადგენილების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეული უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის წარმომადგენლებს საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკური და შრომის ანაზღაუღების უზრუნველყოფისათვის უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტიდან გამოეყოფათ თითოეულს 1200 ლარი.

7. ამ დადგენილებით გათვალისწინებული თანხების გაცემა უმაღლესი საბჭოს აპარატმა აწარმოოს 2017 წლის 1 იანვრიდან.

8. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 18 აპრილის №52-უ.ს.გ.ს. დადგენილება ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 26.04.2013, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010190040.31.056.016034).

9. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2016 წლის

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“

ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 27-ე მუხლისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარ დეპუტატებს ამომრჩევლებთან ურთიერთობის ორგანიზების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში მონაწილეობისა და საკითხების გადაწყვეტის მიზნით ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადგენილების პროექტის მიღების მიზეზია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრების ამომრჩევლებთან ურთიერთობის ღონისძიებათა გაუმჯობესება და საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისათვის ხელის შეწყობა და მათი პრობლემების დროული რეაგირება.

ბ) დადგენილების პროექტის არსი

დადგენილების პროექტის პირველი პუნქტის შესაბამისად, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებს ამომრჩევლებთან ურთიერთობის ორგანიზების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში მონაწილეობისა და საკითხების გადაწყვეტის მიზნით უფლება აქვთ ჰყავდეთ თავიანთი წარმომადგენლები, რომელთაც საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკური და შრომის ანაზღაურების უზრუნველყოფისათვის უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტიდან ყოველთვიურად გამოეყოფათ ამ დადგენილებით განსაზღვრული თანხა.

პროექტის თანახმად, უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილ №68, №69, №70, №71 და №72 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში არჩეული უმაღლესი საბჭოს შესაბამისი მაჟორიტარი წევრის წარდგინების საფუძველზე თითოეულ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ინიშნება არაუმეტეს 2 წარმომადგენელი, ხოლო №73 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეული უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის წარდგინების საფუძველზე ინიშნება არაუმეტეს 3 წარმომადგენელი.

უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრების წარმომადგენლების დანიშვნას, არაუმეტეს უმაღლესი საბჭოს შესაბამისი მაჟორიტარი წევრის უფლებამოსილების ვადით, უზრუნველყოფს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დადგენილების პროექტით, მაჟორიტარი უმაღლესი საბჭოს წევრების წარმომადგენლებს მატერიალური-ტექნიკური და შრომის ანაზრაურების უზრუნველყოფისათვის უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტიდან ყოველთვიურად გამოეყოფათ 1200 ლარი. ამასთანავე, დადგენილების პროექტით №68, №69, №70, №71 და №72 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში არჩეულ უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარ წევრებს

უფლებას აძლევს შესაბამის ოლქში დასანიშნად წარადგინოს არა უმეტეს 2 წარმომადგენელი და მათზე გადაანაწილოს 1200 ლარი. რაც შეეხება №73 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულ უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის წარმომადგენლებს, მათი საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის თითოეულს ყოველთვიურად გამოეყოფა 1200 ლარი.

დადგენილების პროექტით გათვალისწინებული თანხების გაცემა გათვალისწინებულია 2017 წლის 1 იანვრიდან.

გ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი დადგენილების პროექტის მიღება:

დადგენილების პროექტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრების წარმომადგენლების საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტიდან ყოველთვიურად გამოსაყოფი თანხა შეადგენს 9600 ლარს, რომლის დაფინანსებაც მოხდება უმაღლესი საბჭოს 2017 წლის ასიგნებებიდან.

დ) დადგენილების პროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული–ოცნება მაჟორიტარები".

ე) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული–ოცნება მაჟორიტარები".